ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №1707541

ნომერი: AR1279285

თარიღი : 19.01.2015

გაცემის თარიღი : 29.01.2015

გაცნობის თარიღი : 29.01.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ც. დადიანი , N 26 , ჩოდრიშვილის N2 , (ნაკვეთი N 033/007) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ლოლაძე პ/ნ 01010012878
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ V მ/რ კორ. 4 ბ. 3

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღია ავტოსადგომის მოწყობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: იმის გათვალისწინებით, რომ საპროექტო ნაკვეთთან მისასვლელად სარგებლობთ #01.12.12.033.031 და #01.12.12.033.041 მიწის ნაკვეთების გავლით, აღნიშნული ნაკვეთები უნდა დატვირთოთ სერვიტუტით ან წარმოადგინოთ მათი მესაკუთრეთა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს, მოქ. ირაკლი მამალაძის და მოქ. ამირან ჩალაძის თანხმობები (ნოტარიულად დამოწმებული სახით), ნაკვეთების გზის კუთხით სარგებლობასთან დაკავშირებით. მხოლოდ აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ იქნება შესაძლებელი საკითხზე განმეორებით მსჯელობა.

გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 30 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.